ოქმი:**ო37. 37263069**

თარიღი:**02/11/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ გიორგი გაბისიანის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2026 წელი, 28 ოქტომბერი
დაბა ნარუჯა
14:00 -15:00-საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია -მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, მიღწევებსა და წარმატებებზე, გამოწვევებსა და პრობლემებზე - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. აღნიშნა, რომ გ. გაბისიანი არის პასუხისმგებლიანი, ორგანიზებული, საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში, გამოირჩევა ამომრჩევლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით.

საკრებულოს წევრმა გ. გაბისიანმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მომავალ სამოქმედო გეგმაზე. ამომრჩევლებმა დააყენეს შიდა გზების მოხრეშვა-სანიაღვრე არხების გაწმენდის, წყალმომარაგების გაუმჯობესების საკითხი.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. განაცხადეს, რომ საკრებულოს წევრის გ. გაბისიანის საქმიანობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. ამომრჩევლებმა აღნიშნეს-საკრებულოს წევრი

არის ამომრჩევლებისადმი ყურადღებიანი, არ იმსახურებს შენიშვნებს ამომრჩევლების მხრიდან, პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

